2-5822/19
02-04-2019

საქართველოს პარლამენტის

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების

კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ კახაბერ კუჭავას

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია კანონპროექტები:

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-2/290; 13.12.2018).

წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი არის სავალდებულო კომიტეტი, ხოლო განხილვის ვადად განსაზღვრულია 2019 წლის 3 აპრილი.

ვინაიდან მომხსენებლის მიერ ვერ ხერხდება პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში კანონპროექტის წარმოდგენა კომიტეტის სხდომაზე გთხოვთ, მიმართოთ პარლამენტის ბიუროს კანონპროექტის განხილვის ვადის 3 კვირით გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი